

შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	12
5. ამონაგები.....	15
6. გაყიდვის თვითღირებულება	15
7. სხვა შემოსავალი	15
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
9. კომერციული ხარჯები	16
10. ძირითადი საშუალებები	16
11. არამატერიალური აქტივები.....	17
12. გუდვილი	17
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
14. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	18
15. საწესდებო კაპიტალი	19
16. საგადასახადო ვალდებულება	19
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	20

მმართველობის ანგარიშგება	26
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს იაკოვზ დაუ ეგბერტს საქართველოს ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ “შპს იაკოვზ დაუ ეგბერტს საქართველოს” (შემდგომში “კომპანია”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-12 შენიშვნაშია განხილული, 2015 წლის 1 აპრილის ყავის ბიზნესის შესყიდვის ოპერაცია დაკლასიფიცირებული იყო როგორც საწარმოთა გაერთიანება ფასს 3-ის (საწარმოთა გაერთიანება) მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიას გუდვილის დაანგარიშებისას არ განუსაზღვრავს იდენტიფიცირებადი აქტივების რეალური ღირებულება, რაც წარმოადგენს ფასს 3-ის მოთხოვნებიდან გადახვევას. ამან გავლენა მოახდინა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რის გამოც ჩვენი მოსაზრება იყო მოდიფიცირებული. აღნიშნული გარემოების გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მოდიფიცირებულია ჩვენი მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების

მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს

კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი: ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

12 სექტემბერი, 2019 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს იაკოვზ დაუ ეგბერტს საქართველოს ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ “შპს იაკოვზ დაუ ეგბერტს საქართველოს” (შემდგომში “კომპანია”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-12 შენიშვნაშია განხილული, 2015 წლის 1 აპრილის ყავის ბიზნესის შესყიდვის ოპერაცია დაკლასიფიცირებული იყო როგორც საწარმოთა გაერთიანება ფასს 3-ის (საწარმოთა გაერთიანება) მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიას გუდვილის დაანგარიშებისას არ განუსაზღვრავს იდენტიფიცირებადი აქტივების რეალური ღირებულება, რაც წარმოადგენს ფასს 3-ის მოთხოვნებიდან გადახვევას. ამან გავლენა მოახდინა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რის გამოც ჩვენი მოსაზრება იყო მოდიფიცირებული. აღნიშნული გარემოების გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მოდიფიცირებულია ჩვენი მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზეც.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)



შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

12 სექტემბერი, 2019 წელი

შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	<u>შენიშვნა</u>	<u>2018</u>	<u>2017</u>
ამონაგები	5	26,424,126	25,341,368
გაყიდვის თვითღირებულება	6	(13,420,786)	(13,585,769)
საერთო მოგება		13,003,340	11,755,599
სხვა შემოსავალი	7	836,439	588,422
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(3,358,412)	(3,249,161)
კომერციული ხარჯები	9	(2,730,884)	(2,613,251)
საექვო ვალების რეზერვის ხარჯი	13	(139,953)	-
საოპერაციო მოგება		7,610,530	6,481,609
საპროცენტო შემოსავალი	14	175,208	136,043
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		(432,515)	(1,178,732)
მოგება დაბეგვრამდე		7,353,223	5,438,920
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		7,353,223	5,438,920

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 12 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	კახაბერ მურაჩაშვილი
მთავარი ბუღალტერი	_____	მარია მიქაცაძე

შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება



2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	5	26,424,126	25,341,368
გაყიდვის თვითღირებულება	6	(13,420,786)	(13,585,769)
საერთო მოგება		13,003,340	11,755,599
სხვა შემოსავალი	7	836,439	588,422
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(3,358,412)	(3,249,161)
კომერციული ხარჯები	9	(2,730,884)	(2,613,251)
საექვო ვალების რეზერვის ხარჯი	13	(139,953)	-
საოპერაციო მოგება		7,610,530	6,481,609
საპროცენტო შემოსავალი	14	175,208	136,043
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		(432,515)	(1,178,732)
მოგება დაბეგვრამდე		7,353,223	5,438,920
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		7,353,223	5,438,920

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 12 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

კახაბერ მურაშვილი

მთავარი ბუღალტერი

მარია მიქაილანაძე



შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	393,149	548,987
არამატერიალური აქტივები	11	349,586	540,382
გუდვილი	12	22,110,317	22,110,317
		22,853,052	23,199,686
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	5,354,058	5,501,250
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	5,766,358	5,392,636
		11,120,416	10,893,886
სულ აქტივები		33,973,468	34,093,572
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	8,176,270	16,676,270
გაუნაწილებელი მოგება		19,626,673	12,330,301
		27,802,943	29,006,571
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება	16	547,762	418,019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	5,622,763	4,668,982
		6,170,525	5,087,001
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		33,973,468	34,093,572

შპს იაკობზ დაუ ეგბერთს საქართველო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
2016 წლის 31 დეკემბრისთვის		20,176,270	6,891,381	27,067,651
მფლობელზე განაწილებული საწესდებო კაპიტალის შემცირება		(3,500,000)	-	(3,500,000)
მთლიანი სრული შემოსავალი		-	5,438,920	5,438,920
2017 წლის 31 დეკემბრისთვის		16,676,270	12,330,301	29,006,571
ფასს 9-ის მიღება		-	(56,851)	(56,851)
2018 წლის 1 იანვრისთვის, ფასს 9-ის მიღების შემდეგ		16,676,270	12,273,450	28,949,720
მფლობელზე განაწილებული საწესდებო კაპიტალის შემცირება	15	(8,500,000)	-	(8,500,000)
მთლიანი სრული შემოსავალი		-	7,353,223	7,353,223
2018 წლის 31 დეკემბრისთვის		8,176,270	19,626,673	27,802,943

შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		7,353,223	5,438,920
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		361,268	293,987
საპროცენტო შემოსავალი	14	(175,208)	(136,043)
ზარალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		-	5,623
საექვო ვალების რეზერვი ხარჯი	13	139,953	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან		432,515	1,178,732
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		8,111,751	6,781,219
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში			
მარაგების შემცირება		-	211,544
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(44,765)	(2,696,549)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		1,153,415	1,034,884
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		129,743	(172,953)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		9,350,144	5,158,145
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		9,350,144	5,158,145
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	10	(14,634)	(436,246)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		-	54,516
მიღებული პროცენტი		175,208	136,043
წმინდა ფულადი ნაკადები შემოსვლა (გასვლა)		160,574	(245,687)
საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის შემცირება	15	(8,500,000)	(3,500,000)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული ფინანსური საქმიანობისთვის		(8,500,000)	(3,500,000)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა		1,010,718	1,412,458
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		5,392,636	3,980,178
ფული და ფულის ეკვივალენტების გადაფასების ეფექტი		(636,996)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		5,766,358	5,392,636

10 - 25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2014 წლის დეკემბერს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა იაკობზისა და კარტ ნუარის ბრენდების ყავის იმპორტი და ადგილობრივი დისტრიბუცია.

2017 წლის 12 ივნისს კომპანიამ შეიცვალა სახელი შპს „იაკობზ საქართველო“-დან და ფუნქციონირებას აგრძელებს შპს „იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო“-ს სახელით.

კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, აბულაძის ქ.#21. კომპანიის დირექტორია კახაბერ მურაჩაშვილი.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია „იაკობზ დაუ ეგბერტს ინტერნეიშნალ B.V.“, რომელიც დარეგისტრირებულია და ოპერირებს ნიდერლანდების კანონმდებლობით.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გავლენა მოახდინა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე და რომელმაც შეცვალა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა არის შემდეგი:

- ფასს 9 ფინანსური ინტრუმენტები
- ფასს 15 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანიამ გადაწყვიტა გამოეყენებინა ფასს 9 და ფასს 15-ზე გადასვლის გამარტივებული მიდგომა შესაძლო ეფექტების ასახვით 2018 წლის 1 იანვარისთვის. ფასს-15-ის მიღებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა 2018 წლის 1 იანვრისთვის, ფასს 9-ის მიღების ეფექტი განმარტებულია მე-13 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 მოქმედების სფეროში შედის ყველა იჯარის ხელშეკრულება, გარდა გამონაკლისებისა. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების ანაცვლოდ. სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს: საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგ: პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (მაგ: იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანია ფასს 16-ის გავლენის შეფასების პროცესშია, რადგან მან შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანიამ დანერგა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებელზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი
 - სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიისთვის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

შესაბამისად საკრედიტო რისკი არის უმნიშვნელოვანესი რისკების მართვაში. იმისათვის, რომ კომპანიამ აიცილოს ფინანსური ზარალები, იგი იყენებს სხვადასხვა ეფექტურ მეთოდებს საკრედიტო რისკების იდენტიფიცირებისთვის და ეფექტური მართვისთვის.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით. მოთხოვნები, რომლებიც ვადაგადაცილებული ან გაუფასურებულია, განმარტებულია მე-13 შენიშვნაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება არის 12 თვემდე ვადით, ლიკვიდურობის სხვაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ლიკვიდურობის სხვაობა	5,500,373	6,246,345

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანიას მინიმუმდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	რუბლი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,527,046	-	759,167	-	5,286,213
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,165,620	126	600,603	9	5,766,358
	9,692,666	126	1,359,770	9	11,052,571
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,558,204	21,958	2,799,709	1,172,327	5,552,198
ღია საბალანსო პოზიცია	8,134,462	(21,832)	(1,439,939)	(1,172,318)	5,500,373

შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	ევრო	რუბლი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,858,640	628,789	-	5,487,429
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,372,401	12,803	7,432	5,392,636
	10,231,041	641,592	7,432	10,880,065
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,329,459	2,292,354	1,011,907	4,633,720
ღია საბალანსო პოზიცია	8,901,582	(1,650,762)	(1,004,475)	6,246,345

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	+ 20%	- 20%	+ 20%	- 20%
ევროს ეფექტი	(287,988)	287,988	(330,152)	330,152
რუბლის ეფექტი	(234,464)	234,464	(200,895)	200,895

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

5. ამონაგები

	2018	2017
ხსნადი ყავა	17,567,250	16,302,054
ხსნადი ყავა დანამატებით	7,643,108	8,164,489
მოხალული ყავის მარცვლები	286,034	538,573
დაფქვილი ყავა	927,734	335,633
სხვა	-	619
	26,424,126	25,341,368

6. გაყიდვის თვითღირებულება

	2018	2017
ხსნადი ყავა	(7,660,000)	(7,781,276)
ხსნადი ყავა დანამატებით	(4,886,581)	(5,140,469)
მოხალული ყავის მარცვლები	(192,766)	(397,555)
დაფქვილი ყავა	(681,439)	(266,444)
სხვა	-	(25)
	(13,420,786)	(13,585,769)

7. სხვა შემოსავალი

	2018	2017
გაწეული მმართველობითი მომსახურება	796,608	560,402
სხვა	39,831	28,020
	836,439	588,422

მმართველობითი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები დაკავშირებულია საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიებისთვის გაწეულ შემდეგი შინაარსის მომსახურებებთან : ბიზნესის განვითარება, მარკეტინგი, მოთხოვნების დაგეგმვა, ბრენდ მენეჯმენტი და ა.შ.

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(1,500,456)	(1,419,627)
ხელფასები, ბონუსები და თანამშრომლის სხვა სარგებელი	(594,906)	(491,811)
ცვეთა და ამორტიზაცია	(361,268)	(270,928)
მივლინების ხარჯი	(262,380)	(176,243)
დასაქმების სააგენტოები	(198,477)	(350,271)
იჯარის ხარჯი	(150,139)	(154,957)
საკომუნიკაციო და ინტერნეტის ხარჯი	(95,942)	(105,777)
საკონსულტაციო და პროფესიული ხარჯები	(70,015)	(133,631)
სხვა	(124,829)	(145,916)
	(3,358,412)	(3,249,161)

მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები დაკავშირებულია დამფუძნებლისგან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიებისგან მიღებულ შემდეგი შინაარსის მომსახურებებთან: ბუღალტრულ აღრიცხვის ზედამხედველობა, ფინანსური ანგარიშგების მომზადება, პროგრამული მხარდაჭერა, ინფორმაციული უსაფრთხოება და ა.შ.

შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

9. კომერციული ხარჯები

	2018	2017
რეკლამის ხარჯი	(1,008,648)	(1,124,492)
ხელფასები, ბონუსები და თანამშრომლის სხვა	(853,689)	(690,896)
სარგებელი		
როიალტის ხარჯი	(660,549)	(636,208)
პროდუქტის დიზაინის ხარჯი	(177,046)	(110,093)
სხვა	(30,952)	(51,562)
	(2,730,884)	(2,613,251)

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	იჯარის კეთილ- მოწყობა	კომპიუ- ტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2016	-	291,820	106,963	-	-	398,783
შემოსვლა	320,036	1,841	-	114,369	-	436,246
გასვლა	-	-	(106,963)	-	-	(106,963)
31 დეკემბერი 2017	320,036	293,661	-	114,369	-	728,066
შემოსვლა	-	-	-	-	14,634	14,634
31 დეკემბერი 2018	320,036	293,661	-	114,369	14,634	742,700
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2016	-	(93,766)	(37,408)	-	-	(131,174)
ცვეთა	(18,872)	(58,470)	(17,876)	(7,971)	-	(103,189)
გასვლა	-	-	55,284	-	-	55,284
31 დეკემბერი 2017	(18,872)	(152,236)	-	(7,971)	-	(179,079)
ცვეთა	(80,667)	(60,115)	-	(29,690)	-	(170,472)
31 დეკემბერი 2018	(99,539)	(212,351)	-	(37,661)	-	(349,551)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2017	301,164	141,425	-	106,398	-	548,987
31 დეკემბერი 2018	220,497	81,310	-	76,708	14,634	393,149

11. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	SAP და სხვა პროგრამები	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2016	765,098	11,316	776,414
გასვლა	-	(11,316)	(11,316)
31 დეკემბერი 2017	765,098	-	765,098
შემოსვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	765,098	-	765,098
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2016	(33,918)	(1,651)	(35,569)
ამორტიზაცია	(190,798)	-	(190,798)
გასვლა	-	1,651	1,651
31 დეკემბერი 2017	(224,716)	-	(224,716)
ამორტიზაცია	(190,796)	-	(190,796)
31 დეკემბერი 2018	(415,512)	-	(415,512)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2017	540,382	-	540,382
31 დეკემბერი 2018	349,586	-	349,586

12. გუდვილი

2015 წლის 1 აპრილის ბიზნესის გადაცემის შეთანხმების საფუძველზე, კომპანიამ შეიძინა ყავის ბიზნესი შპს მონდელეზ ჯორჯიასგან. ეს ხელშეკრულება გაფორმებული იყო გლობალური ხელშეკრულების საფუძველზე რომელიც გაფორმდა 2014 წლის 7 მაისს შემდეგ მხარეებს შორის: Mondelez International Holding LLC, Acorn Holding B.V., Charger Top Holdco B.V. და Charger OPCO B.V. ეს ოპერაცია დაკლასიფიცირდა როგორც ბიზნეს კომბინაცია, სხვაობა გადახდილ ანაზღაურებასა და მიღებული აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდა როგორც გუდვილი 22,110,317 ლარის ოდენობით. გუდვილის გაანგარიშების დეტალები მოცემული ქვემოთ:

	თანხა
ძირითადი საშუალებები	188,424
რეკლამის გამოყენების უფლება*	8,963
სავაჭრო მოთხოვნები	2,192,296
სულ აქტივები	2,389,683
გადახდილი ანაზღაურების რეალური ღირებულება	24,500,000
გუდვილი	22,110,317

შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018	2017
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	4,552,800	4,858,640
სხვა მოთხოვნები	929,102	628,789
საექვო ვალების რეზერვი	(195,689)	-
	5,286,213	5,487,429
არაფინანსური მოთხოვნები		
წინასწარ გაწეული ხარჯები	68,960	13,821
საექვო ვალების რეზერვი	(1,115)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,354,058	5,501,250
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის რეკონსილაცია წარდგენილია შემდეგნაირად:		
1 იანვრის მდგომარეობით, ბასს 39 ის მიხედვით		-
ფასს 9-ის მიღება		(56,851)
1 იანვრის მდგომარეობით, ფასს 9-ის აღიარების შემდეგ		(56,851)
გამოუყენებელი თანხების ამობრუნება		3,478
რეზერვის ზრდა		(143,431)
31 დეკემბრის მდგომარეობით		(196,804)

ფინანსური მოთხოვნების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში. ფინანსური მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული ფინანსური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	დღეების ვადაგადაცილება					სულ
		1-30	31-90	91-180	181-365	>361	
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	1%	7-10%	15-20%	30%	50%	100%	
2018 წლის 31 დეკემბრისთვის							
საბალანსო ღირებულება	4,987,383	-	406,396	478	44,689	42,956	5,481,902
გაუფასურებამდე							
გაუფასურების რეზერვი	49,874	-	80,371	143	22,345	42,956	195,689
2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9-ის ეფექტის გათვალისწინებით)							
საბალანსო ღირებულება	5,470,629	8,496	8,056	-	-	248	5,487,429
გაუფასურებამდე							
გაუფასურების რეზერვი	54,706	645	1,252	-	-	248	56,851

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს. კომპანიამ ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე ფულადი სახსრების განთავსებით 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მიიღო 175,208 და 136,043 ლარის საპროცენტო სარგებელი. ფული და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

15. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 1 თებერვალს და 2018 წლის 6 აგვისტოს ხელმოწერილი პარტნიორთა კრების ოქმების შესაბამისად საწესდებო კაპიტალი შემცირებული იყო 4,500,000 ლარით (1,472,609 ევრო) და 4,000,000 ლარით (1,331,248 ევრო) შესაბამისად.

16. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად, როგორც ვალდებულება 547,762 და 418,019 ლარის, შესაბამისად.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018	2017
ფინანსური ვალდებულებები დაკავშირებული:		
როიალტის და მმართველობის მომსახურებასთან	2,324,290	1,228,321
მომწოდებლებთან	1,753,915	1,916,774
სატრანსპორტო მომსახურებასთან	326,030	279,058
გადასახდელი ხელფასები	105,410	169,427
სხვა ვალდებულებები	1,042,553	1,040,140
	5,552,198	4,633,720
არაფინანსური ვალდებულებები		
გამოუყენებელი შვებულების ანარიცხი	70,565	35,262
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,622,763	4,668,982

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები და ოპერაციები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	საერთო კონტროლის ქვეშ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	57,649	866,943
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	680,374	3,211,361
მარაგების შეძენა	-	12,552,310
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(632,890)	(867,566)
კომერციული ხარჯები	(660,549)	-
სხვა შემოსავალი	-	836,439

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები და ოპერაციები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	საერთო კონტროლის ქვეშ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	101,180	527,609
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	698,936	2,483,976
მარაგების შეძენა	-	12,732,624
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(690,886)	(728,741)
კომერციული ხარჯები	(636,208)	(31,840)
სხვა შემოსავალი	-	588,422

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

ფინანსური ინსტრუმენტები**ფინანსური აქტივები**

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის იყენებს გამარტივებულ მიდგომას. აღნიშნული ეხება ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია. ერთ-ერთი ამგვარი გამარტივებული მიდგომის მაგალითია მოთხოვნისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა ანარიცხების (რეზერვების) მატრიცის გამოყენებით. ორგანიზაცია იყენებს საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს მოთხოვნისთვის 12-თვიანი საკრედიტო ზარალის, ან ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, შესაბამისად.

ამორტიზებადი ღირებულებით დაკლასიფიცირებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები არის ადვილად გაცვლადი წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე 3 თვემდე დაფარვის ვადით და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

დროთა განმავლობაში კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებებს მომხმარებლებთან მოთხოვნების პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ვისთანაც კომპანიას ადრე კარგი სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა. ასეთი მოლაპარაკებები დაკავშირებული გადახდის პირობების გაუმჯობესებასთან და არ ცვლის მისაღები ანაზღაურების ოდენობას. ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად და საბალანსო ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. კომპანია არ ფლობს ფინანსური ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად

ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15-ის დანერგვამ მნიშვნელოვანი გავლენა არ მოახდინა კომპანიის 2018 წლის შემოსავლებზე.

კომპანიამ ფასს 15-ის დანერგვისთვის აირჩია კუმულაციური ეფექტის მეთოდი, რომელიც არ მოითხოვს წინა წლების რიცხვების გადაანგარიშებას.

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანია ძირითადად შემოსავლებს იღებს ყავის პროდუქტების რეალიზაციიდან, კომპანია იყენებს დისტრიბუტორს პროდუქტების საბოლოო მომხმარებელამდე მისატანად. როდესაც ქვეკონტრაქტორი მიიღებს პროდუქტს, კონტროლი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს, რაც კომპანიისთვის წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ კონტროლის გადაცემის ყველა კრიტერიუმი კმაყოფილდება და შემოსავალს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში. ყველა შეთანხმებაში კომპანია არის მარწმუნებელი და შემოსავალს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით.

დისტრიბუტორს არ აქვს უფლება დააბრუნოს პროდუქტი ჩანაცვლების სანაცვლოდ ან მიიღონ გადახდილი თანხა უკან.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული შეთანხმებებიდან, რომელიც პერიოდულად შესაძლოა შეიცვალოს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. კომპანია არ ითვალისწინებს დაფინანსების კომპონენტს, რადგან დისტრიბუტორი პროდუქტის მიწოდებიდან 30 დღეში ფარავს ვალდებულებას. კომპანიას არ აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევები.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

თითოეული პროდუქტის გაყიდვის დროს, კომპანიას წინასწარ აქვს შეთანხმებული ფასები. აქედან გამომდინარე კომპანიას არ იყენებს მსჯელობას გაანაწილოს გარიგების ფასი თითოეული შეკვეთისთვის.

ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები

დანახარჯები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ხელშეკრულებასთან მოიცავს გაყიდვებისა და იურიდიული დეპარტამენტების თანამშრომლების ფიქსირებულ ხელფასებს.

აღნიშნული დანახარჯები არ არის აღიარებული როგორც აქტივი და აღიარებულია როგორც ხარჯი, რომელიც წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელსაც საწარმო მაინც გასწევდა, იმის მიუხედავად, გაფორმდებოდა თუ არა ხელშეკრულება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის 5 წლიან ვადაზე. ცვეთის დარიცხვა არ წყდება მაშინაც კი, როდესაც აქტივს დროებით აღარ იყენებს კომპანია. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის პროპორციულად.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. პროგრამები იცვითება 4-5 წლიან პერიოდზე. სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გუდვილი

გუდვილი ფასდება როგორც სხვაობა შემდეგი მაჩვენებლებისა: გადაცემული კომპენსაცია, და შეძენილ იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების შეძენის თარიღისათვის წმინდა ღირებულებას შორის.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს არსებობს თუ არა გუდვილის გაუფასურების ნიშნები. გუდვილის გაუფასურების განსაზღვრად დგინდება ანაზღაურებადი ღირებულება თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის (ან ჯგუფისთვის) რომელსაც ეს გუდვილი მიეკუთვნება. თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ან ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში. გუდვილის გაუფასურების ზარალი კომპენსირება არ ხდება მომავალ პერიოდებში.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგებისა.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სავაჭრო ფასდათმობები და გადასახადები, რომელიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ არ ჩაირთვება შემენის დანახარჯებში. კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იხებრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

საოპერაციო იჯარა

სადაც კომპანია არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა

შპს „იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც საქართველოში დაარსდა 2014 წლის დეკემბერს.

კომპანიის მოქმედების აქტიური ეტაპი დაიწყო 2015 წლის აპრილში, როდესაც კომპანიამ შეიძინა ყავის ბიზნესი შპს Mondelēz Georgia- სგან (ბიზნესის გადაცემის ხელშეკრულება შესრულდა 2015 წლის 1 აპრილს). Jacobs Douwe Egberts International B.V. (მშობელი) კომპანიის კაპიტალის 100% -ს ფლობს. 2017 წლის 12 ივნისს კომპანიამ შეიცვალა სახელი შპს „იაკობზ საქართველო“-დან და ფუნქციონირებას აგრძელებს შპს „იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო“-ს სახელით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა JDE-ის ბრენდების იმპორტი და ადგილობრივი დისტრიბუცია. კომპანია პასუხისმგებელია ადგილობრივ გაყიდვებზე და მარკეტინგულ საქმიანობაზე. კომპანია ახორციელებს პროდუქციის იმპორტს ჯგუფის საწარმოო ობიექტებიდან უკრაინიდან და რუსეთიდან და საბითუმოდ ყიდის მას დისტრიბუტორზე - შპს მეგაკო („მეგაკო“), რომელიც კომპანიის ერთადერთი მომხმარებელია.

კომპანია არის პასუხისმგებელი სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვასა და

წარმართვაზე, რომლებიც მიზნად ისახავს ბრენდის პოპულარიზაციას, ბაზარზე პროდუქციის ხილვადობას და შემდგომში გაყიდვების წახალისებას. კომპანიის პორტფელი მოიცავს შემდეგ ბრენდებს: Jacobs, Carte Noire და L'OR. კომპანია, მასსა და Koninklijke Douwe Egberts B.V.- ს შორის დადებული სალიცენზიო ხელშეკრულებების საფუძველზე ფლობს არაექსკლუზიურ უფლებებს აღნიშნული სავაჭრო ნიშნის გამოყენების შესახებ.

საქართველოში ყავის ბაზარი წარმოდგენილია მრავალი მწარმოებლებით და ბრენდებით. მოთამაშეები არიან როგორც ადგილობრივი მწარმოებლები ასევე საერთაშორისო კომპანიები. საბითუმო ბაზარი წარმოდგენილია 3 ძირითად ქვეკატეგორიად: ხსნადი ყავა, დაფქული ყავა და ყავის მიქსები. კომპანია ყიდის სამივე ქვეკატეგორიის პროდუქციას. ფასწარმოქმნისას კომპანია ითვალისწინებს პროდუქციის თვითღირებულებას, კომპანიის მიზნებს და ბაზრის ვითარებას.

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია ახალი დაფუძნებულია, თუმცა მზარდი და მომგებიანია. კომპანიის ძირითადი მიზნებია: გაყიდვების ზრდა, ყავის ნაირსახეობის ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება მომხმარებელთათვის და ზოგადად ყავის კატეგორიის პოპულარიზაცია საქართველოში.

2019 წელს კომპანია გეგმავს საქართველოში ახალი ყავის Maxwell House ბრენდის იმპორტს და დისტრიბუციას. ასევე, კომპანია იწყებს მუშაობას ყავის პროფესიული ხაზის მიმართულებით, რაც გულისხმობს ყავის აპარატების და შესაბამისი პროდუქციის შეთავაზებას ბიზნეს კლიენტებისთვის. ასევე, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს არსებული ასორტიმენტის განახლება და მომხმარებლების გახალისება საინტერესო შეთავაზებებით.

კომპანიის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოს მიმოხილვა


2018 წელს კომპანიას არ განუხორციელებია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოები.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ აქვს ფილიალები.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი:




კომპანიის 2018 წლის საერთო მოგება 2017 წელთან შედარებით 10.6%-ით არის გაზრდილი. რაც გაყიდვების მოცულობის ზრდით იყო განპირობებული და არა ფასების ზრდით. კომპანიამ ამონაგების მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია. დაგეგმილი მარკეტინგული კამპანიები ემსახურება მომხმარებლისათვის კომპანიის ბრენდების, პროდუქტების და სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას რამდენიმე საკომუნიკაციო არხის გამოყენებით.

2018 წლის განმავლობაში კომპანია ეტაპობრივად გადავიდა უკრაინის საწარმოდან ხსნადი ყავის მომარაგებაზე რუსეთის საწარმოზე. ახალი მომარაგების ხაზით გაუმჯობესებულმა პროდუქციის თვითღირებულებამ კომპანიას საშუალება მისცა მეტი საერთო მოგებისთვის მიეღწია.





2018 წლის საოპერაციო მოგება 2017 წელთან შედარებით 17.4%-ით არის გაზრდილი. ამ შედეგს კომპანიამ მიაღწია, როგორც გაყიდვების ზრდით და თვითღირებულების შემცირებით.



2018 წლის წმინდა მოგება 2017 წელთან შედარებით 35.2%-ით არის გაზრდილი. ამ შედეგს კომპანიამ მიაღწია არა მარტო შემოსავლების ზრდით, არამედ 2017 წელთან შედარებით ვალუტის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების და სავალუტო ანგარიშების გადაფასების ზარალის შემცირებით.

ინფორმაცია ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ:



გაყიდვების ზრდამ და ადგილობრივი ბაზრის გაფართოებამ შექმნა 4 ახალი სამუშაო ადგილი კომპანიაში. პორტუგელში პროდუქციის რაოდენობა გაზრდილია როგორც ასორტიმენტის გაზრდით ასევე სააქციო/დროებითი პროდუქციის მიწოდებით ადგილობრივ ბაზარზე.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია თავისი საკუთარი აქციები და აგრეთვე არ ფლობს სხვა კომპანიის აქციებს.

დამატებით განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია გაყიდვებს ახორციელებს შემდგომი გადახდის პირობით. საკრედიტო ლიმიტის ხანგრძლივობა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს. კომპანია ასევე სარგებლობს საკრედიტო ლიმიტებით თავის მიერ შესყიდულ პროდუქციაზე თუ მიღებულ მომსახურებაზე. ამ შემთხვევაში საკრედიტო ლიმიტი დიფერენცირებულია და შეადგენს 5-დან 160 კალენდარულ დღეს.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

რადგან კომპანიას არ გააჩნია სასეხო ვალდებულებები და ობლიგაციები, აქვს საკმარისი საბრუნავი კაპიტალი, შესაბამისად, კომპანია ლიკვიდურობის პრობლემის წინაშე არ დგას.

კომპანიას მინიმუმდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

საქონლის შესყიდვების ძირითადი ნაწილი უცხო ქვეყნებზე მოდის, ხოლო გაყიდვები ადგილობრივ ვალუტაშია. არსებობს პოტენციური ზარალის მიღების რისკი ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო, თუმცა წლიდან წლამდე კომპანიის ვალუტაში ნომინირებულ ვალდებულებებზე მნიშვნელოვანი ზრდა/კლება არ შეიმშენვეა. კურსის ცვლილება გავლენას ახდენს პროდუქციის თვითღირებულებაზე, რომელიც წინა პერიოდთან შედარებით 2018 წელს შემცირებულია, ასევე მნიშვნელოვნად შემცირებულია წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან.